სატენდერო დოკუმენტაცია

Direct Debit Georgia

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 და აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **კუთვნილი, დეციმეტრული დიაპაზონში მომუშავე, საბაზო რეტრანსლატორების (რეპიტერების MOTOROLA SLR5500) საანძო მომსახურების გაწევაზე.**

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

პროდუქტი	რაოდენობა
რეპიტერის განთავსება ანძაზე და მომსახურება - ქალაქ თბილისი	1
რეპიტერის განთავსება ანძაზე და მომსახურება - ქალაქ ბათუმი	1

ძირითადი პირობები

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შპს დაირექტ დებით ჯორჯიას კუთვნილი, დეციმეტრული დიაპაზონში მომუშავე, საბაზო რეტრანსლატორების (რეპიტერების MOTOROLA SLR5500) საანძო მომსახურების გაწევა და აგრეთვე რეპიტერების სერვის მომსახურება, პროგრამული განახლება(Update), პროგრამირება და გამართული მუშაობა სრულად, მათ შორის საფიდერე და საანტენო კომპლექტი.

ანძები განთავსებული უნდა იყოს ქ. თბილისში ან მის გარეუბანში და ქ. ბათუმში ან მის გარეუბანში ზღვის დონიდან არანაკლებ 665 მეტრზე;

ანძებზე განთავსებულმა საბაზო რეტრანსლატორებმა (რეპიტერებმა) უნდა უზრუნველყოს დეციმეტრულ ტალღათა დიაპაზონში 24 საათიანი უწყვეტი ოპერატიული რადიოკავშირი

შპს დაირექტ დებიტ ჯორჯიას თანამშრომლებს შორის, ქ.თბილისის მასშტაბით;

საბაზო რეტრანსლატორის (რეპიტერის) მუშაობა დაცული უნდა იყოს ყოველგვარი გარეშე ხელშემშლელი ფაქტორებისაგან; საბაზო რეტრანსლატორის (რეპიტერის) კვება უნდა იყოს რეზერვირებადი და უზრუნველყოფილი უწყვეტი კვების წყაროთი; შპს დაირექტ დებიტ ჯორჯიას დეციმეტრულ ტალღათა დიაპაზონში მოქმედი ოპერატიული რადიოკავშირის მონაცემებია: საბაზო რეტრანსლატორის (რეპიტერის) სიმძლავრე - 50ვტ; საბაზო ანტენა - Lambda, გაძლიერების კოეფიციენტი არანაკლებ - 6.5db; პოლარიზაცია - ვერტიკალური.

რეპიტერებმა(2 ცალი) უნდა უზრუნველყონ ქალაქ თბილისისა და ბათუმის სრულად დაფარვა და ისინი გადაბმული უნდა იყვნენ ქსელით, Motorola IP Site connect სისტემის გამართულად სამუშაოდ.

ტენდერის პირობები

- თანხის ანაზღაურება მოხდება ყოველთვიურად მომსახურების მიღების მომდევნო თვის 5 რიცხვამდე;
- გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდება ხელშეკრულება 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2028 წლის 31 დეკემბრამდე;
- ფასთა ცხრილში უნდა დაფიქსირდეს ყოველთიურად ასანაზღაურებელი თანხა.

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
    - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@ddg.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 20/10/2025 15:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.